პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 188 (19880) ◆ ხუთშაბათი, 15 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ ... სახ. ბიბლიოთეკა

მოწინავეთა მსჯავრდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხედი საუკუნე შრომის ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთაშენებელ-გემშენმკეთებელ ქარხანაში წარჩინებული მრანდავი ბორის უფფარაძე.

კომუნისტი ბ. ჭუფარაძე, რომელიც იყენებს შრომის მოწინავე მეთოდებს, ოთხ ჩარხზე მუშაობს. მან საწარმოში ერთ-ერთმა პირველმა უპატაკა სამშობლოს პირადი ხუთწლეული დავალების შესრულება.

დადგა რა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, წარჩინებული მრანდავი გადაჭარბებით ასრულებს ნორმას.

ფოტოზე: ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთაშენებელ-გემშენმკეთებელი ქარხნის მოწინავე მრანდავი ბორის უფფარაძე.

ი. ბოსტონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

პარტიის კრების ტრიბუნიდან

ითოეული განვლილი დღე სულ უფრო გვიახლოებს ჩვენი პარტიის მომავალ, XXVII ყრილობას. ყველგან, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შინაარსიანად და საქმიანად ემზადებიან ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის. მთელი მზადების დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი კი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნებია.

სწორედ ამ პლენუმის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განკარგულება მდინინის ამბანაგ ვ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებანი და დასკვნები ის ნათელი ორიენტირია, რომელიც კონკრეტული მოქმედების გზას უნათებს ითოეულ პარტიულ ორგანიზაციას საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების სანიშნეში მომზადებისათვის, მათი მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მოწყობისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი და მეტად პასუხსაგები ხასიათ ყოველი პარტიული ორგანიზაციისათვის, მაგრამ ახლანდელი, რომელიც უკვე ორი კვირაა ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო პარტიული ჯგუფებისა და საამქრო პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებით, მაინც განსაკუთრებულია. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი იმართება ორი ხუთწლედის მიჯნაზე, რომ კომუნისტებს ღრმა და საქმიანი ხვა-პასუხი აქვთან არა მარტო ერთი საანგარიშო წლის შესახებ, არამედ იმაზეც, თუ რა შეგობა განსრულ მათ ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში. კომუნისტებმა წლის მთავარ კრებებზე კარგად უნდა განიხილონ შეძენილი გამოცდილება, განსაზღვრონ გზები და საშუალებანი სამეურნეო, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

დღევანდელ გამართულ პარტიული ჯგუფებისა და საამქრო პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებს სწორედ ეს მისწრაფება ახასიათებდა. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საუროკო საამქროს მექანიკური უბნის პარტჯგუფის კრებაზე მთელი ხვა-პასუხის მთავარი თემა იყო საწარმოს რეკონსტრუქციის რიგი პირობებში სასვლაშეკეთები ვალდებულებათა ახორციელებინა შესრულების, ახალი პროდუქციის შეუფერხებელი გამოშვების უსაფრთხოებისა. კომუნისტმა დიდი აქტიურობით, მწყალე პრობლემებზე გულსტკივნეული მსჯელობით, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები ავრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მეორე მექანიკური საამქროს საუბრავებს უბნის, მასპარძის რაიონის პასვის კოლმეურნეობის მეკვიდობაურის ავროუბნის მეთრეთმეტე ბრიგადის, ზესტაფონის რაიონის შორაპნის ქარხანა „ელექტროფლეშენტის“ საიარაღო უბნის და სხვა პარტიულ ჯგუფებში.

დღევანდელ უკვე 600-ზე მეტ პარტჯგუფში გაიმართა ანგარიშგებაარჩევნები. პირველმა კრებებმა თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რაოდენ გაიზარდა კომუნისტთა აქტიურობა: კამათში ზოგან თითქმის კრების ყველა მონაწილეა გამოეცა.

რას მიაკუთვნებენ კომუნისტები თავიანთ ყურადღებას? რასაკვირველია, უპირველესად ამა თუ იმ უბნისათვის ძირითად პრობლემებს. ქარხნის საამქროსა თუ კოლმეურნეობის ფერმასა, სამეცნიერო ინსტიტუტის ლაბორატორიისა თუ სახელმწიფო დაწესებულების განყოფილებაში — ყველგან გარკვეული საზრენაკი, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს კოლექტივის შრომის საბოლოო შედეგებზე. ძალზე საჭიროა იმის განსაზღვრა, თუ რას აყენებენ პარტიული ჯგუფი, რას ეკრა და რატომ.

დღეს მთავარი და უპირველესი მოთხოვნებია: შემოქმედებითი შრომა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, დიდი მოამზოვნელობა და მომკითხველობა როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი, და პარტიულ ჯგუფებიც, რომლებიც ყველაზე ახლო არიან ხალხთან, წარმოებასთან, კოლუნისტებმა უკეთ იციან ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც, შრომითი კოლექტივის ყოველი შუქ-ჩრდილი, საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველგან ისე უნდა მოეწყოს, რომ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი კომუნისტთა აქტიურობისა და ინიციატივის შემდგომ ზრდას.

ყოველი ნვენი გვგმის, ჩანაფიქრის, ხოციალისტური ვალდებულების ბედი საბოლოოდ შრომითი კოლექტივების ცალკეულ უბნებზე ეკიდა, აქ ყალიბდება ძირითადად ადამიანთა საქმიანი და მორალური ფიზიებებიდ. ამიტომ ამ უბნებზე მოქმედება და მოღვაწეობა ჩვენი რესპუბლიკის ათასობით პარტჯგუფს აძლევს იმის საშუალებას, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ ისინი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, პროდუქციის ფეოდლრებულების, შემცირების, შრომის ნაყოფიერი ზრდის საქმეში, იყვნენ მოშვრნრეობისა და ყალიბიანობის ორგანიზატორები.

ფეოდლ ცხოვრება მოითხოვს, რომ პარტიული ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დაინტერესებული მსჯელობა იყოს სასაუბრო შეუფერხობის მართვის, მეეინერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ძირეულ პრობლემებზე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების კოლექტიური შემოქმედებითი ახრი უნდა ნარეშმართოთ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევისათვის— ხუთწლედის დავალებანი შეკასრულოთ ვადაზე ადრე ხარისხიანად. დიდი ეურადღება უნდა დავთმინ ის საყურადღებო თაოსნობანი პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების დღეებში იშვეთ შრომითს კოლექტივებში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა ხუთწლედის 7 ნოემბრისათვის შესრულება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პირველადი პარტორგანიზაციები, პარტიული ჯგუფები ყოველდღიური იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრები უნდა იყოს. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ადამიანთა აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი. შრომითი კოლექტივის ნევრებმა, რომელნიც ყოველდღე ხედავენ ერთმანეთს, განსაკუთრებით კარგად იციან ერთმეორის ძლიერი და სუსტი მხრეები. სწორედ ამიტომ პარტიული ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ინდივიდუალურ მუშაობას ეწევიდეს ადამიანებთან. კომუნისტებმა პირუთვნელად უნდა ამსჯელონ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების უკეთ გაძღვილის, პოლიტინფორმატორების, აგიტატორების, ახალგაზრდობის დამრიგებლების, კედლის გაზეთების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე. საჭიროა დაესახოთ, შეკიდეშაოთ ისეთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მოლიანად მოსპობდა თითოეული პარტჯგუფის ხამოქმედო უბანზე სამუშაოს გიდგანის, შრომის დისციპლინის სხვა დარღვევების ფაქტებს, ეამამაფრებდა ლოზუნგი და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, არ დაუშვებდა კომუნისტური ზნეობის ნორმების სხვადასხვა დამახინჯებას.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ ნვენი რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებს ნაუკვლეს ის მოთხოვნა, რომ „ყველაზედ შეკვეთოთო ყველა ნაკლი, ნეგატიური მოვლენა, პირში ეუთხრათ ამხანაგებს ნვენი შენიშვნები და სურვილები“.

ცხადია, პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო პარტორგანიზაციებში ნამოვრილი ბევრი პრობლემის, ბევრი საკითხის გამო საუბარი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გაგრძელდება. ამიტომ გულდასმით უნდა გავაანალიზოთ პარტიის ყველაზე ძირეულ რგოლებში გამოთქმული კომუნისტთა შენიშვნები, ხურვილები და ნინადადებები და მათ პრაქტიკულად დაუკავშიროთ მხარი. კარგია, რომ უკანასკნელ ხანს პარტიის ხაკალაქო ლა რაიონიელი კომუნისტების პრაქტიკაში დამკვიდრდა სპეციალური შეტყობინების შვებრა, რომლებიც კონტროლს უწევენ პარტჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული საინტერესო აზრების, შენიშვნებისა და ნინადადებების პრაქტიკულ განხორციელებას.

ანაგთიარი მტკიცება არ სჭირდება იმის, რომ პარტიული ჯგუფის ბრძოლისუნარიანობა და აქტიური საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული მის ხელმძღვანელზე. ამიტომ პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა არჩევას ყველგან განსაკუთრებული სიფრთხილით, პრინციპულობით, პასუხისმგებლობითა და დაკვირვებით უნდა მოეკიდოდნ. ჯგუფლამაი უნდა განეხილოთ კანდიდატურები, მივალენოთ, რომ პარტიული ჯგუფების ხათავეში იყვნენ ყველაზე მოწინავე, ინიციატიანები, ენერგიანები, მორალურად მტკიცე კომუნისტები.

პარტიული კომიტეტების გადაეფენილი ხაზრენაკი ახალარჩეული პარტჯგუფების ორგანიზატორთა და საამქრო პარტორგანიზაციების მდივანთა სწავლება შეშაობის სპეციფიკის და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. მათ საამხანაგ უნდა გამოიყენონ საინტერესო ფორმები და მეთოდები.

ეშინიდან ვამბობ სოლმე, პატარა კოლექტივიც დიდი ძალაა. მარილად ეამრავ კეთილ საქმეს დაავიარეგინებენ ხულ ყველაზე ეკიროვანი პარტიული ჯგუფები, თუკი იქ ეაქმიანურად გამოკვლევენ რეზერვებს, თუ კრებებზე ფამალულ-ფაფარული არაფერი ფარჩები, ფიანსაბა მომავლისათვის ყოველმხრივ ეწინონ-ფაწინონ ღონისძიებანი და თითოეული კომუნისტი შემოქმედებითად იღებენს ხაერთო საქმის ინტერესებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს მორიგი სხდომები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ელექტროლიზური მანგანუმის ორეანგის ქარხნის მუშაობის სტაბილიზაციის საკითხი. აღნიშნა რა საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გაწეული სერიოზული მუშაობა, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა გაერთიანების ადმინისტრაციას, პარტიულ კომიტეტს, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს ძირითადი ყურადღება დაეთმინ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას. განახორციელონ დისციპლინის განმტკიცების, ქარხნის შრომელთა მუშაობის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხი.

განიხილეს აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საქმიანობის სტაბილიზაციის საკითხი და მიიღეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია აღნიშნული მიმართულ ებ ით მუშაობის შემდგომი სრულყოფა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების მომჭირნეობის 1985 წლის პირველი ნახევრისათვის დადგენილ დავალებათა შესრულების მიმდინარეობა და განსაზღვრა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების საკითხი. ხანგრძლივ იმის უშუალო შედეგია, რომ ამ საწარმოთა ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათდამი მინდობილ ობიექტებზე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს. მიიღეს ცნობად, რომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ მთავარ ინჟინერს ამბ. გოგიჩაძეს და გააკეთეს შენაკარი. სასტიკი საყვედური გამოუცხადეს „საქსოფლმანქანაზე“, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობა, რომ შეეშენან სიმძლავრეები და მოამზადონ წარმოება მოტბლოკების, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, მათი ძრავებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოშვებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსაზღვრა შესაბამისი საწარმოო სამმხრივეების დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალში რესპუბლიკის კომკავშირელების, ქალაშვილებისა და ჭაბუკების მონაწილეობის შეტდგომი და აღნიშნა დიდი მუშაობა, რომელიც საფესტივალო მზადების დროს გასწიეს პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ არადამამყაოფილებლად ცნო ქვაისის ტყვიაგადაფენილ მაღაროსამმართველოს ობიექტების შენენლობის გეგმების შესრულებისათვის გაწეული მუშაობა. ამ მიმართულებით ეფექტიანი ღონისძიებანი.

განიხილეთ რა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მქონე პირთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის ხელახალი შემოწმების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ცალსახად ნეტარ მუშაობა, რომელიც გაწეულია ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. დაისახა ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

არასაკმარისად ცნეს აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობა, რომ შექმნან სიმძლავრეები და მოამზადონ წარმოება მოტბლოკების, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, მათი ძრავებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოშვებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსაზღვრა შესაბამისი საწარმოო სამმხრივეების დროულად ექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ეხილა ინფორმაცია ბის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორის ამბ. კოხრეიძის გამოუცხადეს სასტიკი საყვედური და გააფრთხილეს თანამდებობიდან. საყვედური საყურადღებო ბრალდება შეეტანა ავტომობილთა ქარხნის მოწინავე ინჟინერს ამბ. ჩხეიძეს და მოხსნეს თანამდებობიდან. აღვამად შეეშენილი ამინდის პირობების გამოყენებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა მკაცრად გააკეტიროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებისა და ქიმიგაზიფიკაციის პროფილქტიკური მუშაობა, გააძლიროს მათი მზადყოფნა.

კონტროლის წესით ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის დაგეგმვის კოორდინაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ და არსაკმარისად ცნო მუშაობა, რომელიც გაწეულია ამ დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად. დაისახა ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

ბიუროს ეცნობა, რომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ მთავარ ინჟინერს ამბ. გოგიჩაძეს და გააფრთხილა, რომ ეფიქრა ... ...

პარტიული ცხოვრება: ყრილობისწინა დათვალიერებაზე

ყრილობებს შორის მოქცეული დროის მონაკვეთი პარტიული ორგანიზაციებისათვის ძალთა დიდი დათვალიერებაა. სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო — უფრო გაფართოვდა შემოქმედებითი მუშაობა, დაინერგა ბევრი საინტერესო ხასიათი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობაში.

ხუთწლეულის ეს ბოლო. წელიწადი, პარტიის XXVII ყრილობამდე დარჩენილი დროის მონაკვეთი მაქსიმალური დაძაბვის პერიოდია, რადგანაც ეს არის დრო, ერთი მხრივ, საბოლოო ანალიზის, განსჯა-შეფასების, მიღწეულის ერთხელ კიდევ გადათვალიერებისა, ხოლო, მეორე მხრივ, — საბმამავლო თვალსაწიერის ჭვრეტისა.

როგორ, რით ვეგებებით პარტიელთა დიდ ფორუმს, როგორ ახორციელებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობებს, ყოველივე ამით როგორი საფუძველი მოამზადეთ შემდგომი შუშობისათვის — აი მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც „კომუნისტის“ რედაქცია გაუშუქებს რუბრიკით „ყრილობისწინა დათვალიერებაზე“.

დღეგანდელი კორესპონდენცია ამ მიმართულებით საამრეთო ოსეთის სალელო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ზოგიერთ მხრეს ეხებავს.

ცნობილია, წარმატება ცარიელ ნიადაგზე არ მოდის. ვისაც მისთვ მოგვრილი სიამოვნება განუცდია, მან ისიც იცის, სულიერ და ფიზიკურ ძალთა როგორი მობილიზაციაა საჭირო მის მისაღწევად. წარმატების თავი და ბოლო, როგორც იტყვიან, მისი ალფა და ომეგა სწორი მართვა და შრომელი ადამიანის, კოლექტივის მოღვაწეობაა. საქმიანობის ამ ორი ძირითადი და აუცილებელი კომპონენტის ოპტიმალური შეზომება ხდება საბოლოო ანგარიშით გამარჯვების საფუძველი, და რაც უფრო მტკიცეა ეს ბალავარი, მით სამიდეოა წარმატებაც.

სწორედ ამ სწორ შეზომებას — მართვის და შრომელთა კოლექტივების, შრომითი უჯრედების, თითოეული ადამიანის აქტიურობას ვხედავთ იმ წარმადღიერი ინფორმაცია ადგილებიდან და მისი კომპეტენტური ანალიზი, ხოლო ამის შემდეგ გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება იქ, სადაც საჭირო იქნებოდა. გარდა ამისა, მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში საოლქო, საქალაქო თუ რაიონების ბიუროებზე სხეადასხვა დონის. ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა. ამ გზით მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობა უთუოდ გაიზრდა.

დადებითი ნაყოფი გამოიღო აგრეთვე ყოველი თვის ოცი რიცხვისათვის სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით გეგმების მოსაღონღნელი შესრულების შემოწმებამ.

სამუშაო იოლი არ იყო. ვერა და ვერ ხერხდებოდა ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენილობის მძიმე უღლისაგან განთავისუფლება. ბოლო ისეთი მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოებიც კი, როგორიც არის კვაისის მაღართოსაკმართველო, ვიბრომანქანების ქარხანა და სხვ. ავტოსატარანსპორტო საწარმოს, მაგალითად, ვერა და ვერ ადგებოდა სამეელი. გეგმების შესრულება გადაუოლია სინდლედ ექცთ. საქალაქო კომიტეტმა ღონად ჩაიხედა მთის საქმიანობაში, აღმოჩნდა, რომ იქ სრულიად მთლიანი იყო შრომითი თუ სახელმწიფო დისციპლინა, სუფეავდა სრული გაუნეკთხობა. ამდენად საჭირო გახდა ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება, შეიცვალა კადრები, შეიმუშავეს შესაბამის სამინისტროსთან ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც პარტიის საოლქო კომიტეტის, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის და სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა და რომლის შესრულებას მკაცრი კონტროლი დაუწესეს. ყოველივე ამან ნაყოფი სწრაფად გამოიღო. საწარმომ წლეანდელი ნახევარი წლის გეგმები თითქმის შეასრულა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგი იყო ის ფაქტი, რომ მრეწველობის მუშაკებმა მეოთხემეტე ხუთწლეულის ოთხი წლის გეგმა შარშან 17 დეკემბრისათვის შეასრულეს. თუმცა ჯეელი საწარმომ მაინც ვერ უზრუნველყო წლიური გეგმების შესრულება, ჩამორჩენენ ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, ხორცკომბინატი, პურკომბინატი, რძის, ჯავის ჩამოსასხმელი ქარხნები და სხვა. ამოცანა კი უჩამორჩენლებად მუშაობა გახლდათ. და აი, ეს დღეც დადგა. წელს პირველ კვარტალში უკვე უჩამორჩენლებად მუშაობდნენ, სასაკონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები შესაბამისად 103,3 და 107,4 პროცენტით შესრულდა. ასევე წარმატებებით აღინიშნა ხუთწლედის ბოლო, დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარი.

სწორედ სკკპ XXVI ყრილობის შემდგომ პერიოდში ჩადგა მწყობრში ახალი საწარმოები — ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ელექტრომოწყობილობის სარემონტო ქარხანა, ხეტყის კომბინატის საავეჯო საამქრო. ამან ერთი მხრივ, აამაღლა მთელი ოლქის სამრეწველო პოტენციალი, ხოლო, მეორე მხრივ, კვალიფიციურ შრომაში ჩააბა ათას ხუთასზე მეტი კაცი, რომლებიც ადრე სხვადასხვა პირად, დამმპრე მეურნეობებში მუშაობდნენ.

სული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა მუშაობის ისეთმა ფორმამ, როგორიც არის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ძალთა კონცენტრაციის პრინციპი. მაგალითად, მიწოდების პრობლემას, რომელიც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება, მართავს პარტიის საოლქო კომიტეტის კომისია. უშუალოდ ამით არის დასაქმებული საოლქო კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სისტემატიური ყურადღებით და კონტროლით მიაღწია იმას, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მაჩვენებელი აუცილებელი მიწოდების გეგმის გათვალისწინებით ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება, შარშანწინ იგი 97,5 პროცენტი იყო, შარშან 98,7, ხოლო წელს ნახევარ წელიწადში — 100 პროცენტს მიუახლოდა.

ეკონომიური ზრდის სოციალური რეზერვების რაციონალური გამოყენების მიზნით აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანესებენ მუშაკთა შრომითი და საყოფაცხოვრები პირობების „გაუჯობესებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, დასვენების, სწავლის, საზოგადოებასა თუ ოჯახში ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს და ა. შ. პარტიული ორგანიზაციები ბევრს კისრულობენ თითოეული საწარმოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმის შედგენასა და რეალიზაციაში, რომელშიც განვითარების საწარმო-ეკონომიკურთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს. ეს კარგად ჩანს კვაისის მაღართოსამართველოს მაგალითით, სადაც ამ გეგმის განხორციელებისათვის 40 მილიონ მანეთზე მეტი უნდა დაიხარჯოს. ამ ხუთწლედის მანძილზე ოცი ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი განაწილდა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მამდიდრებელი ფაბრიკა, სპორტული დარბაზი, სკოლა 784 მოსწავლისათვის და ა. აშ.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რაც თქმა უნდა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება და მნიშვნელოვანი რეზერვია. თუ 1980 წელს საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხის-ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 8,2 პროცენტი იყო, შარშან ამ მაჩვენებელმა 17,8 პროცენტს მიაღწია. პარტიულმა ორგანიზაციებმა ხარისხისათვის ბრძოლა თავიანთი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად გამოცხადეს. ასეევ დიდი ადგილი ეთმობა სახალხო მოხმარების საგნების ხარისხის გაუჯობესებას.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება პარტიის XXVI ყრილობისა და მომდევნო პლენუმების შემდეგ იყო სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის მოღვაწეობა. ეს მუშაობა მეტად რთული უმანია. პირველ წლებში კი განსაკუთრებით იგრძნობოდა სიძნელეები. საქმე ის გახლავთ, რომ ოლქის სოფლის მეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩებოდა — ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო. ყოველივე ეს, რასაკვირველია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკურ მაჩვენებლებში აისახებოდა, ისინი ყოველ წელიწადს ზარალით ამთავრებდენ.

საოლქო კომიტეტმა საპეციალური პლენუმი მოუძღვნა ამ საკითხს. დაისახა სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების გზები, რომელიც გენერალურ ხაზად ეკონომიკის ზრდის ინტენსიური ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებას, ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუჯობესებას, მათი როლისა და ავტორიტეტის ზრდას. ახლა უნდა შეიძლება ითქვას, რომ მაშინ კურსი სწორად ყოფილა აღებული და მოლეანთა შემდგომმა მსჯელობამ ეს დაადასტურა; ამ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის დარგს მოხმარდა 17,3 მილიონ მანეთი კაპიტალდაბანდებანი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდები 38, ხოლო შრომის ენერგოდატევრებლობა 30 პროცენტით გაიზარდა.

ამ ბოლო წლების მანძილზე მთელი მუშაობა ინტენსიფიკაციის მიმართულებით შეეწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას და კონცენტრაციას და ეს აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე მოხდა. ბევრი გაკეთდა დარგის ინდუსტრიალიზაციისთვის, განსაკუთრებით სიმინდის, ლობიოს, ბოსტნეულის მოყვანაში, რძის წარმოებასა და პირუტყვის კვებაში. მეტად თვალსაჩინოა მექანიზაციის დონის ამაღლება მეცხოველეობაში. აქ უკვე ალარავის უკვირს კომპლექსურ-მექანიზებული. ფერმების არსებობა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობა წინა ხუთწლედში შედარებით სამუალოდ 11 პროცენტით გაიზარდა და 17 მილიონ მანეთს მიაღწია. ხორცის წარმოება ამ ხნის მანძილზე 10 პროცენტით

ხელახალი ორიენტაციის გზით

ტებათა საძირკველში, რომელსაც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მიაღწია ოლქმა.

ყოველდღიურ საქმიანობაში, რომელშიც პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ქმედითს დახმარებას უწევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, ისინი ცდილობდნენ წინა ალაზზე წამოეწიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუჯობესება, იდეურ-აღმზრდელობითი შუშაობის სრულყოფა, მასების შემოქმედებითი ოსტატობის განვითარება, მთელი შინაპარტიული საქმიანობის გაპტიურება. ამასთან ყოველდღიურ მუშაობაში ინერგებოდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ისეთი მეთოდები, როგორიც არის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ძალთა კონცენტრაციის პრინციპი, დისციპლინის განმტკიცების, სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ჯეროვანი წესრიგის დაყენებისადმი კომპლესური მიდგომა, პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის სისტემური ანალიზების. შედგენა და ა. შ.

მაგრამ ყოველივე ზემოთ ნათქვამი ცარიელ სიტყვებად დარჩებოდა და, აქედან გამომდინარე ყოველგვარ აზრს დაკარგავდა, რომ არ იყოს კონკრეტული წარმატებათა მაჩვენებელი ციფრები და ფაქტები. აი ისინი: მეოთრმეტე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა 43,2 პროცენტით გაიზარდა, ახლოლუტურმა ზრდამ 25 მილიონ მანეთს გადააჭარბა, სოფლის მეურნეობაში შრომის ფონდიდან 42,6 პროცენტით გაიზარდა, ენერგოდატევრებლობა — 26 პროცენტით. ფინანსირების ყველა წყაროს მიხედვით კაპიტალდაბანდებათა ნაერთო მოცულობამ 92 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც ერთთორად და მეტად სჭარბობს მეშვიდე და მერვე ხუთწლედების მაჩვენებლებს ერთად ალებულს. შრომის ნაყოფიერებამ მრეწველობაში 20,7, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 18,8 პროცენტს მიაღწია.

უმთავრესი ამოცანა, რომლის შესრულებისათვის იღვწოდნენ ოლქის შრომელები სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს XXVI ყრილობის შემდეგ, გახლდათ ოლქის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარება. აქ მთავარი ადგილი ეკონომიკის განვითარების ინტენსიურ გზებზე გადაყვანას, წარმოების ეფექტიანობის გაძლიერებას უკავია. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, დაინერგა მრეწველობის მართვის იმგვარი სისტემა, რომლის მეოხებითაც მიღწეულია სტაბილურობა დარგში. უმირველესად, საჭირო იყო ყოველ-

ბაღლინა, რძისა — ოცკერი, მატყლისა — თორმეტკერი, კვერცხისა — 8,4-ჯერ და ა. შ.

ეს ყოველივე თავისთავად არ მოსულა, პარტიის საოლქო კომიტეტი მუდმივ აანალიზებს სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს, პერიოდულად ისმენს რაიკომების ანგარიშებს, სოფლად პარტიული შუშაობის აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც უფრო სავნორჩიად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა, აგრეთვე აგრესამრეწველო გაერთიანებებში შემავალ ორგანოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სოფლის კომუნისტთა ძალისხმევას წარმართავენ ახალი ეკონომიური პირობების, შრომითი და მიწის რესურსების, წარმოების საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის.

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს პირველადმა პარტორგანიზაციებმა სოფლად ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებაში, როგორიც არის კოლქტიური იჯარის დანერგვა. ამჟამად ახალი გამწეესგ შუშაობს 75 ბრიგადა, მათ შორის 32 მეცხოველეობაში, რომლებშიც ათასამდე კაცია გაერთიანებული. ამას წინათ საოლქო კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე მოისმინეს ოლქის პარტორგანიზაციათა ამოცანები მეცხოველეობისა და საკვებწარმოების შემდგომი განვითარების საქმეში. დაისახა სამომავლო პერსპექტივები.

ამ ბოლო ოთხი-ხუთი წლის შუშაობა ერთი მიმართულებითაც გამოირჩევა. ეს არის მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება. სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნა ქალაქის და სოფლის ცხოვრების პირობების მაქსიმალური დაახლოების თაობაზე საოლქო კომიტეტმა სამოქმედო პროგრამად მიიღო. ამ წლების მანძილზე სასიკეთოდ შეეცვალა იერსახე სოფლებს — ლარგვეს, წინაგარს, ხეთაგუროვს, აქნევს და სხვ., სოფლის მშრომელებს ამ წლებში 3,2 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცათ, ამოქმედდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი, კულტურის სახლები, კლუბები, მაღაზიები, სასადილოები. სოფლების უმეტესობა ელექტრიფიცირებულია. მაღალმთიანი ჯავის რაიონის გზაფიცირების სამქიც მოგვარდა. შედეგმა ცხინვალი-ჯავა-კვაისის გზგაყვანილობა, რის შედეგადაც ამ მხარეში ალარ მოიკრძალა ხეტყე, რაც საკურორტო ადგილებისათვის მნიშვნელოვანია.

მაღალმთიანი სოფლებისთვის გზები სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ამიტომაც მიექცა ამ საქმეს ყურადღება. აქ 76 კილომეტრი გზა აშენდა სოფლად, უბრიველესად მაღალმთიან მხარეში.

არის ერთი საკითხი, რომელსაც ვერ ალუვლიან, როდესაც XXVI ყრილობის შემდგომ პერიოდზე ვსაუბრობთ. ეს არის მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა. ამ საკითხის უდიდეს მნიშვნელობაზე თუნდაც ამას წინათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირზე ნათქვამი მიუთითებს: „ახლა მთავარია გამოვძებნოთ და ავამოქმედოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების ყველა რეზერვი. ჩვენმა კადრებმა უნდა შეიგნონ, თუ რა საარსებო მნიშვნელობა აქვს განვითარების ინტენსიურ გზაზე თითოეული საწარმოს, დარგის, მთელი სახალხო მეურნეობის ხელახალ ორიენტაციას“. თუ ერთანად შეეფასებთ ამ მიმართულებით გასულ წლებში განხორციელებულ შუშაობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი მთავალში დიდი მასშტაბური ხასიათის ღონისძიებების განსახორციელებლად. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ დროს ჩაიყარა წარმოების განახლების მტკიცე საფუძველი, ბევრგან დაიწყო და მიმდინარეობს რეკონსტრუქციაგაფართოების სამუშაოები. მნიშვნელოვად განახლდა, მაგალითად, ქარხანა „ემალსადენი“, მიმდინარეობს ეიბრომანქანების საწარმოს რეკონსტრუქცია, დამთავრდა ლუდის ქარხნის და პურკომბინატის მიმდინარე რეკონსტრუქცია. შენდება ტალეის პრაქტიკულად ახალი ქარხანა, ხორცეელდება სხვადასხვა საწარმოში ხელის შრომის შესამსუბუქებელი ღონისძიებები.

ამ მნიშვნელოვან საკითხს სულ უფრო მეტი და მეტი ყურადღება სჭირდება. სწორედ ამიტომ პირველად პარტორგანიზაციებთან შექმნილია ახალი ტექნიკის დანერგვის კონტროლის კომისიები. აქ ყველფერს იღონებენ ამ კომისიათა ასამოქმედებლად, რათა მათი შუშაობა უფრო მოქნილი და სისხლსავსე, დროის მოთხოვნათა შესაფერისი გახდეს.

მომავალი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ეკუთვნის. ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის რაციონალური შეზამება სასწაულებს ანდენს და მუშაობის მაგისტრალური მიმართულებაც ასეთია. სამომავლოდ ბევრია განზრახული.

გ. ხარებაშვილი.

კომთილშობილური თაოსნობა

რუსთავში მეტალურგიულ ქარხანაში მომუშავე დიდი სამამულო ომის 280 ვეტერანი ბევრი სასარგებლო ღონისძიების მოთავე და უშუალო შემსრულებელია. ახლახან მათ კიდევ ახალი კეთილშობილური ინიციატივა გამოიჩინეს. — გადაწყვეტეს თავიანთი ერთი დღის ხელფასი გადარიცხონ მოსკოვში შენებარე საბრძოლო დიდების მემორიალის შენებლობის ფონდში.

— ჩვენს დიად ქვეყანას, — გვითხრა ომის ვეტერანთა საკარნო საბჭოს თავმჯდომარემ, გადამდგარმა გვარდიის მაიორმა, ქარხნის საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა და ავტომატიკის საამქროს ლაბორატორიის უფროსმა გ. წივწივაძემ,—ცხადია, არ უშერს ამ გრანდიოზული შენებლობისთვის საჭირო სახსრები. მაგრამ გვინდა ჩვენი მცირეოდენი წვლილიც ერის ფაშატურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში დაეკუპეთ ჩვენი ფონრტული მეგობრების სახელთა უკვდავყოფაში.

„კომუნისტის“ კორ.

ბაღები მაღლა, მთებში

საქართველოს მაღალი მთის მასივები, სადაც სუფაკენების მანძილზე არ ყოფილა ბალები, დროთა განმავლობაში ხილის უდიდესი მომწოდებლები გახდებიან. ეს პროგნოზი გაკეთდა ამ ზონებში წარმოებული სამეცნიერო კვლევისა და საწარმოო ცდების შედეგების მიხედვით, რომლებიც უკანასკნელ დრომდე სარისკოდ ითვლებოდა ხეხილის გასახარებლად.

ცნობათა გადასინჯვა დაკავშირებულია აგრარული წარმოების, იმ თანამედროვეი ტექნიკის ახალ შესაძლებლობებთან, რომელსაც ახლა შეუძლია ტრასების გაყვანა მთის ციცაბო ფერდობებზე. შედეგი მოჰყვა სელექციის მიღწევებსაც: მეცნიერებმა გამოიყვანეს ა ბრაქტიკოსებს გადასცეს ახალი ჯიშები ხეხილი, რომელიც დაბალ ტემპერატურებს უძლებს.

მეხილეთა წარმატებებს გამმარტავს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მელაძე:

— ბაღების ფართობის გადიდება მთების თვისებების გზით რესპუბლიკის მეცნიერებისა და სპეციალისტების მნიშვნელოვანი მიღწევაა. ჩვენში ხომ მთებსა და მთისწინეთს მთელი ტერიტორიის ორი მესამედი უკავია. ეს განამტკიცებს ნაკლებრენტაბელური მთის მეურნეობების ეკონომიას, ხელს შეუწყობს ბარში მთიელთა მიგრაციის შემცირებას.

რესპუბლიკაში იქმნება მეხილეობის კომპლექსები, რომლებსაც აქვთ მიწის ნაკვეთები, ტექნიკა, შესაფთები და გადასამუშავებელი საწარმოები.

პარტიული მუშაობის კაბინეტი

ფალენჯიხა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, ფართო პარტიული აქტივის სწავლების კარგი ტრაფ პარტიის რაიკომთან არსებული ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი. აქ მეტად მრავალფეროვანია თემატური კუთხე: „პარტიის ორგანიზაციული ყოფა“, „პარტიის რაიკომის სტრუქტურა“, „რაიონის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობა“, „პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა“ და „საქმის წარმოება პირველად პარტიულ ორგანიზაციაში“. სპეციალური სტენდი ნათელ წარმოდგენას იძლევა ორგორც კომუნისტების, ასევე პირველად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზმობრივ და თვისებრივ ზრდაზე, ეროვნულ შემადგენლობაზე.

კაბინეტში არსებული თითოეული ექსპონატი, სქემა თუ დიაგრამა სრულყოფილ პასუხს იძლევა პარტიული მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ო. სალია,
პარტიის წალენჯიხის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის კონსულტანტი.

დროის მოთხოვნაა ორგანიზაციულ-ეკონომიური და სოციალური რეზერვების სწორად ამოქმედება, მატერიალური ფასეულობების დაცვა-შენახვისა და სწორი გამოყენებისათვის აქტიური მუშაობა. ამ საკითხებზე, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზეა დასმარაკი წინამდებარე წერილში.

წარმოების ზრდის რეზერვები

ვიწყავლოთ კულტურების მოუვლანის კულტურა

წარმოების ზრდის რეზერვების, მოელი პოტენციური შესაძლებლობების სრული ამოქმედებისა და გამოყენების პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, რადგანაც ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი და დისპროპორცია შეიმჩნევა, რომლებიც დროულად უნდა გამოსწორდეს.

საეროდ, ჩვენი სოფლის მეურნეობა გარკვეული თავისებურებით და სპეციფიკით გამოირჩევა. რესპუბლიკის ბევრი ადგილი ზღვის კალთებია. ამ ადგილებზე ბევრი ადგილია, სადაც ბალნეულის ბაღი ან ვენახი ადგილობრივ ბალნეულ-ბაღ-ვენახ ნაგებ ადგილებ. ეს ადგილ-ადგილ ბალნეულ-ბაღ-ვენახ ნაგებ

დამკვრელური უბანია

ერთმანეთს ნუ გადა-ვაბრალებთ!

სასწავლო წლის დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა...

იმათ, ვისაც ჯერ არ დუმთავრებიათ ახალი სასწავლო წლისათვის ჩასაბარებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მშვიდი ძილი არ უნდა ჭქონდეთ! სწორედ ასეა წითელწყაროს რაიონის ზოგიერთ სკოლაში, რომელთაც ხელიდან გაუშვეს ზაფხულის ხელსაყრელი დღეები, ახლა კი ციებცხელებს აქვთ შეყრილი — მოასწრებენ თუ არა ყველაფერს 1 სექტემბრისათვის?

ძირითადი სამუშაოები თითქმის უკვე მოითავეს იმ სკოლებმა, სადაც მიმდინარე რემონტი თვითინიციატივით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელით კეთდებოდა. ახლა ისინი სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიებს, საკლასო ოთახებს აკომპლექტებენ.

რაიონის ექვსი ბაგა-ბაღის და ორი საშუალო სკოლის მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ქალაქის კომუნალური მეურნეობის სარემონტო-სამშენებლო უბანს აკისრია (უფროსი — ვ. ყაჟაშელი). დროულად გიფარმდა სახელშეკრულები და ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ რიტმულად ვერ მიმდინარეობს სამუშაოები, განსაკუთრებით სოფელ ზემო მაჩხათის დაწყებით, წითელწყაროს მერრე და ზემო ქედის საშუალო სკოლებში, ზოგიერთ ბაგა-ბაღში.

სარემონტო უბნის მშენებლებს, მათი სიტყვით, მუშაობაში ხელს უშლის სამშენებლო-სამონტაჟო მასალების ნაკლებობა. რესაუბრიკის განათვლის სამინისტროს, რომელმაც სარემონტო უბანს 90.000 მანეთის სამუშაოები შეუკვეთა, იმდენი მასალები გამოუყო, სამუშაოთა მხოლოდ 20 პროცენტს რომ ეყოფოდა: 21 ტონა ცემენტი, 37 კუბური მეტრი ხე-ტყე, 31 კვადრატული მეტრი ლინოლეუმი, 170 კილოგრამი ზეთის საღებავი, 1,4 ტონა რკინა და სხვა, მაგრამ განა სკოლისათვის ზრუნვა მარტო განათვლის სამინისტროს, და მის დაქვემდებარებულ უწყებებს ავალიათ? — ზემო ქედის საშუალო სკოლას რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ კარგა ხანია გამოუყო თანხები, მასალები, მოუმზადა ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ ვერც სარემონტო უბანმა და ვერც სოფლის საბჭომ სამუშაოთა მწარმოებელი ვერ გამოძებნეს, საქმისთვის რომ ეხელმძღვანელა.

მეშვიდე წელია წითელწყაროს მეორე საშუალო სკოლაში დაიწყო სახელოსნოს მშენებლის სამუშაოები, მაგრამ საქმე გაიყინა.

უკეთესი მდგომარეობა ვერ არის სოფელ სამთაწყაროს საშუალო სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 24-ე ტრესტის 38-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონა აწარმოებს. აშენდა ორივე სასწავლო კორპუსი, სპორტდარბაზი, მთავრდება შელესვა, მაგრამ განა დარჩენილი სამუშაო ერთ თვეზე ნაკლებ ვადაში მოესწრება?

სოფელ ენრიხეთის საშუალო სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც იგივე 38-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონა უძღვება, მუშაობა შეჩერებულია. რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სარმატურე რკინის უქონლობის გამო.

ამას წინათ, როცა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხს პარტიის რაკომის ბიურო იხილავდა, ერთი სამშენებლო ორგანიზაცია საქმის შეფერხებას ცემენტის უქონლობით ხსნიდა, მეორე — ხე-ტყეს ან სალებავს ამრალებდა, მთავარს კი — ნამდვილად სახალო საქმისათვის მოწადინება და თავადდება რომ არ იგრძნობა — გვერდი აუარეს.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა... სადღეისოდ მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ყველამ ერთსაირი დასკვნა ვერ გამოიტანა ბიუროს დადგენილებიდან, მაგრამ ახლა საქმეს სინანული და ერთმანეთისათვის გადაბრალება კი არა, მხოლოდ სკოლის, სოფლის საბჭოს, კოლმეურნეობის, მოსწავლეთა თუ მშობლის ძალისხმევის გაერთიანება, ერთიანი მოწადინება თუ უმველის.

3. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

მთაში ტელეფონი ანკრიალდება

ორჯონიკიძის რაიონის კავშირგამმელობის მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელსაც საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ო. კობახიძე ესწრებოდა, კავშირგაბმულობის საუფალებებით რაიონის სახალო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დასახა ახალი ამოცანები.

კერძოდ, მოსახლეობის სატელეფონო მომსახურების გაუჯობესებისათვის გაისად დაბის ატომატური სატელეფონო სადგური გაიზრდება 500 ნომრით; მთიანი სოფლების — ხევის, ზვარის, წიფისა და ვარძიის ტერიტორიიაზე ტელეგადაცემების ხარისხის გასუფთავებისაკენ დაიდგმება მიკროტერანსლატორები, ხოლო დაბა ორჯონიკიძისა და მისი მიმდებარე სოფლებისათვის დამონტაჟდება 10-ვატიანი სატელევიზიო სადგური ცენტრალური პირველი პროგრამის მისაღებად. ალარ იქნება საფეხურიანი სატელეფონო კავშირი ხევისა და ხუნევის საფოსტო განყოფილებებში.

აღნიშნული ამოცანების პრაქტიკული განხორციელება საგრძნობლად ამაღლებს მოსახლეობის მომსახურების დონეს და სტაბილურს გახდის კავშირგაბმულობის სამსახურს. **(სპ. კორ).**

15 აგვისტო, 1985 წ.

ბევრი შვილი რომ გაზარდო...

მოსახელეობის ბუნებრივი მატების ნელი ტემპი ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებთან ერთად მახარაძის რაიონშიაც იგრძნობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელი პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა სწორი დემოგრაფიული პოლიტიკისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის ტრიბუნიდან ითქვა: „საჭიროა მიზანმიმართულად, მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით მოვახდინოთ მოქმედება დემოგრაფიული სიტუაციით აღმოცენებული პროცესებზე“.

მახარაძის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ კეთდება ბავშვიანი ქალების შრომისა და ყოფის ჯერის პირობების გაუჯობესებისათვის. მრავალშვილიან ოჯახებს არა მარტო ეკონომიკური, არამედ მორალურ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერაც აქვთ, ამაღლდა მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების დონე. სულ უფრო და უფრო ფართოვდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი, იზრდება განახორციელებული ჯგუფების რაოდენობა.

ახალგაზრდა ოჯახისთვის ზრუნვა, ახალგაზრდობის მომზადება ხანგრძლივი სოციალურ ცხოვრებისათვის პარტიული ორგანიზაციების ღვიძილი საქმეა. სწორედ ამან განაპირობა სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის (მდივანი — გ. ბუჯაბიძე) და კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე — გ. წითლიძე) ჩინებული ინიციატივა, რომელიც გულისხმობს დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისა და შრომითი რესურსების ეფექტიანი უზრუნველყოფის გზებსა და ამოცანებს, მისი რეალიზაციის სასარგებლო ღონისძიებებს. ინიციატორებმა უკვე კარგი პირობები შექმნეს სოფელში ახალგაზრდობის დამკვიდრებისათვის, დროულად დაოჯახებისა და შვილების წესიერი აღზრდისათვის.

პარტიულმა კომიტეტმა და კოლმეურნეობის გამგეობამ შეიმუშავეს მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური და მორალური დახმარების დებულება, რომლის მიხედვითაც კოლმეურნე დედას, რომელსაც სამი შვილი ჰყავს, ემატება ძირითადი ანაზღაურების 15 პროცენტი. გარდა ამისა, მრავალშვილიან ოჯახებს ბინათმშენებლობისათვის ეძლევათ გრძელვადიანი სესხი— 1500 მანეთი, სამშვილიან ოჯახებს — 5 წლის ვადით, 4 შვილიანებს — 7 წლით, 5 და მეტ შვილიანებს — 10 წლით.

ნატანებელთა ინიციატივაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფ ახალგაზრდას მთელი ამ ხნის მანძილზე ხელფასი ენახება.

პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოიწონა ნატანებელი კომუნისტების, სოფლის აქტივის ძვირფასი ინიციატივა. ადგილებზე პირველი პარტიული ორგანიზაციების მიერ ღონმდე გაანალიზდა ეს დაბოცდილება და დაეკვა თითოეულ კომუნისტს, აქტივისტს, რათა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, საწარმო-დაწესებულებაში მტკიცედ დანერგონ სასარგებლო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას.

პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით სოციალური გამოკვლევებისა და საკითხის მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე რაიონში დამუშავდა ახალი, თანამედროვე მთლიანი ზოგადი შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მისი მართვის პროექტი. ამ პროექტს ოფიციალური დოკუმენტის ძალა შესძინა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიამ, რომლის გადაწყვეტილებით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაეკალთ დემოგრაფიული პასპორტების შედგენა.

კოლმეურნეობებში ჩვილბავშვიან დედებს შეუმცირდათ სამუშაო დღე ორი საათით, ამასთან ერთად - შეუმცირდათ გამიმუშავების ნორმებიც. საგულისხმოა ისიც, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში შესაძლებლობა გათვალისწინებით მრავალშვილიან დედებს დაუწესდათ ძირითადი ანაზღაურების დანამატი. მრავალშვილიან ოჯახებს უფიგოდ გამოეყოთ მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯი; აგროსამრეწველო გაერთიანებაში შეიქმნა მრავალშვილიანი ოჯახების ერთდროული დახმარების ფონდი, რომლის ხარჯზეც მრავალშვილიანი ოჯახების სასკოლო ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებითა და ფორმის ტანსაცმლით, პიონერებს ეძლევათ პიონერთა ბანაკის უფასო საგზურები.

პარტიის მახარაძის რაიკომი, მისი აქტივი ქმედითად ნერგავენ ნატანებელ კომუნისტთა და მშრომელთა ინიციატივას, აგრეთვე ამ მხრივ შეძენილ სხვა გამოცდილებას. სერიოზულ მუშაობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები, რათა ყველგან გახხორციელდეს რაისაბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

...მას შემდეგ სამ წელზე ცოტა მეტი გავიდა. პარტიის რაიკომმა ერთხელ კიდევ გულდასმით შეისწავლა საკითხი, თუ როგორ განხორციელდა და რა შედეგები მოჰყვა სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სესიის გადაწყვეტილებას, სად როგორ ინერგება და სრულდება ნატანებელთა ინიციატივის პასუხად ნაკისრი ვალდებულებანი. ახლა ვამოწმებთ, თუ რა ძვრები მოხდა ამ ხნის მანძილზე რაიონში.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, გასულ სამ წელიწადში მართლაც სასიკეთო ცვლილებები მოხდა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს: რაიონის მოსახლეობა მთლიანად გაიზარდა 1606 კაცით, 1980 წელთან შედარებით 1981 წელს ამ დაიბადა 47-ით მეტი, ხოლო 1983 წელს კი 15-ით მეტი ბავშვი. საგულისხმოა, რომ მარუნის მესამე შვილი შეეძინა 186 ოჯახს, ანუ 13-ით მეტს, ვიდრე 1980 წელს; მეხუთე შვილი შეეძინა 29 ოჯახს, ანუ 6-ით მეტს. ცალკეული სოფლების მიხედვით კარგი მაჩვენებლები აქვთ ნასაკირალის ჩათს საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი — ა. გობრონიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — გ. ლომთათიძე), სადაც 1980 წელთან შედარებით გასულ წელს დაიბადა 21-ით მეტი ბავშვი. ასკანაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ქუთათელაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — ი. მამალაძე) 17-ით მეტი, შემოქმედში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ნ. ბურჭულაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — ო. გეგიაძე) 13-ით მეტი, გურიანთაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ა. ვეშაფაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი — ნ. კომახიძე) 10-ით მეტი ბავშვი.

რაიონის მთელმა რიგმა საწარმო-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს და საკმაოდ სწორი დემოგრაფიული პოლიტიკა განახორციელეს. ამ მხრივ საყურადღებოა პუტკომბინატის, მაღაროთამამრთველის, ნატანების, შრომის, ჯემთის კოლმეურნეობების, რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის განყოფილებების პარტიული ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობა.

იმ პოზიტიურ ცვლილებებში, რომლებიც მიღწეულია დემოგრაფიული სიტუაციის განვითარებისათვის. გაუმჯობესდა ცენტრალური საავადმყოფოს განყოფილებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მრავალშვილიანი დედების დისპანსერიზაციას, მათს პროფილაქტიკურ გასინჯვას, პერიოდულად აწყობენ ბავშვთა საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებებს. დაწესებულია მკაცრი კონტროლი ოჯახებსა და დაწესებულებებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისადმი.

სახალხო-დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე— ვ. ყელტი) სისტემატურ, საქმიან კონტროლს უწევს ადგილობრივი საბჭოების მესვეურებს, რომლებიც მოვალეები არიან დროზე უზრუნველყონ დემოგრაფიული პასპორტები, რომლებშიც უნდა აისახოს ყველა მრავალშვილიანი ოჯახი თავისი ძირითადი შემადგენლობით, წელთა საერთო რაოდენობით, თითოეული მათგანის საქმიანობით. ერთი სიტყვით, რაიონის მთელი რიგი მოწინავე ადგილობრივი საბჭოები საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ და ახორციელებენ მოსახლეობის ბუნებრივი მატებისთვის საჭირო ღონისძიებებს. ბევრ სოფელში კოტაჟებსა-მიდამოს აშენებენ შესასვლელთან გაკრული აბრა: „აქ ცხოვრობს მრავალშვილიანი ოჯახი“.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ადგილებზე საქმის შესწავლამ ცხადყო, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ ყრის ჯემათის, სილაოს, თხნელის სოფლის საბჭოებში, დიდ სასიკეთო ძვრებთან ერთად ნაკლიც უნდა აღინიშნოს: ნატანებელთა თოსნობისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სესიის გადაწყვეტილების განსახორციელებლად, მარალია, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეძლეს ისეთი დიდი კოლმეურნეობებმა—შრომის, ვაკეკურის, მოისპირის, მაკვანეთის, ნაგომრის, ცხემლისხიდის, დვაბზუს, მერიის კოლმეურნეობის, ლაითურის ჩათს საბჭოთა მეურნეობის და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას პირუთვნელად, რომ მათ ხელი მოკლეს ადგილობრივი სიტუაციის განვითარებისათვის. ეს ... ...



შეხვედრა წარსულთან

ORBELIANI

UBNIS

GANAXLEBA

**ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲛ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲨᲘ, ᲔᲒᲠᲔᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲚᲘ ᲮᲘᲠᲘᲗᲐᲜ ᲒᲐᲣᲚᲔᲚᲐ, ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲕᲘᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡ ᲯᲣᲠᲩᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲐᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲖᲝᲒᲐᲠ ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲘᲜᲯᲐᲕᲘ, ᲙᲐᲠᲘ-ᲒᲣᲜᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ, ᲖᲝᲒᲐᲠ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲠᲮᲘᲡᲔᲚᲘ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ — ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲗ